საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფაფიოლებით და ჭოჭოებით ბუტბოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 3 აგვისტო. 2016 წ. №143 (8035), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ლევან იზორია: 2

საქართველოს თავდაცვა კიდევ უფრო გაძლიერდება

ილია მეორემ პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები დალოცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები დალოცა.

„მადლობელი ვარ, რომ მობრძანდით და ილოცეთ ჩვენთან ერთად, წმინდა ილია წინასწარმეტყველი ძლიერი წმინდანია, თვით სახელში ორჯერ არის ნახსენები ღმერთი (უფალი ჩვენი ღმერთი), თქვენ უყვარხართ ხალხს და თქვენი სჯერა ხალხს. დალოცვილი იყავით და გაიხარეთ. ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო“, — ბრძანა პატრიარქმა.

ტაძარში მსახურებას ასევე დედაქალაქის მერი დავით ნარმანია და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოს წევრებთან ერთად ესწრებოდნენ.

პრეზიდენტმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ანგელოზის დღე მიულოცა

„გულითადად გილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს, ილიაობას — ელია წინასწარმეტყველისა და წმინდა ილია მართლის ხსენების დღეს, ასევე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ანგელოზის დღეს და სიმართლის გზით სიარულს გისურვებთ ყველას.

29 წლის წინ უწმინდესისა და უნეტარესის თაოსნობით მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ შთამაგონებელ, დაუვიწყარ გამოცდილებად იქცა, რომელსაც მაშინ რამდენიმე წერილიც მივუძღვენი.

ილია ხომ ჩვენი ეპოქის შვილია, ადამიანი, ვის შემოქმედებას და ბიოგრაფიას სკოლაში ვსწავლობდით, და ამ დროს, კომუნისტურ საბჭოთა კავშირში იგი წმინდანად შეირაცხა! დღესაც შემიძლია გავიმეორო 29 წლის წინ გამოთქმული აზრი, რომ „წმინდანი არის მორწმუნის მიერ არჩეული გზის სისწორის რეალური დასაყრდენი და იმედი, მასაზრდოებელი ძალა“.

ამდენად, უწმინდესმა ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხით ახალი იმპულსი შესძინა ჩვენს ყოველდღიურ გარჯას, განგვიმტკიცა საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების რწმენა“, — აღნიშნულია პრეზიდენტის მილოცვაში.

დავიბრუნოთ აფხაზეები და აფხაზეთი!

სოხუმში ცვლილებები შეინიშნება... ეს თავისით არ მომხდარა და დიდი შრომის შედეგია

3

მზია გელენავა: მე, ორი ათას ორას მეშვიდე დევნილი...

4

ცრუპენტელა მიშა და დონალდი

ესპანური პრესა: ბათუმელები დონალდ ტრამპს შეუსრულებელ დაპირებას ახსენებენ, რატომ აქო და ადიდა სააკაშვილმა ბათუმში ჩასული ტრამპი?

მადლი სიტყვისა

საუკუნეთა საიდუმლოების ამოხსნის დასტურად

6

პოეტი მინდია

რევაზ მინდორაშვილი — სიტყვის კაცი

8

ოლიმპიური ჩემპიონი

ჯარი და სამხედრო უწყება, მაქსიმალურად უნდა გაემიჯნოს პოლიტიკურ დაპირისპირებებს!

პრემიერ-მინისტრმა თავდაცვის სამინისტროში ლევან იზორია წარადგინა და განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია ჯარი და სამხედრო უწყება მაქსიმალურად იყოს მოშორებული პოლიტიკურ დაპირისპირებებს. კვირიკაშვილმა ახალ მინისტრს წარმატებები უსურვა და დასძინა, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მიმართულებით ძალიან ბევრი სამუშაოა განსახორციელებელი.

მთავარია საღი გონების პოლიტიკა!

თავდაცვის ახალმა მინისტრმა მთავრობის მეთაურს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროში დაგეგმილი რეფორმები გაგრძელდება.

„პირველ რიგში, ეს გულისხმობს მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მეორე – საფრთხეებისა და რისკების შეკავებას, ჩვენი თავდაცვითი შესაძლებლობების მდგრადი განვითარებით და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციით. პირველ კომპონენტზე როცა ვსაუბრობდი, მხედველობაში მქონდა, როგორც ქვეყნის შიგნით მშვიდობის უზრუნველყოფა, ისე, ბუნებრივია, ნატო-ს მტკიცე მხარდაჭერის ფარგლებში ჩვენი საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურაში აქტიური მონაწილეობა, რასაც, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან - აშშ-თან ერთგულად განვახორციელებთ. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, როდესაც საფრთხეების და რისკების შეკავებაზე ვსაუბრობ, როგორც პრიორიტეტზე და ამას ვხედავ ჩვენი თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებაში, პირველ რიგში ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი პოლიტიკა არ იქნება არავის მიმართ საფრთხის შემცველი, მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის შესაძლებლობებზე მიმართული და ისიც, ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად დახვეწით, რასაც, სწორედ ჩვენი პარტნიორების – ნატოს წევრი ქვეყნების და აშშ-ის მხარდაჭერით, წლების განმავლობაში მივაღწიეთ“, – განაცხადა ლევან იზორიამ და აღნიშნა, რომ ეს პოლიტიკა გაგრძელდება და თავდაცვითი შესაძლებლობები კიდევ უფრო გაძლიერდება.

რესპუბლიკელი ცოლ-ქმარი შეტევაზე გადავიდნენ!

პრემიერ-მინისტრმა თავდაცვის ყოფილი მინისტრის თინა ხიდაშელისა და პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მიერ გაკეთებულ შეფასებებს უპასუხა. უსუფაშვილი-ხიდაშელი უშიშროების სამსახურის კადრის თავდაცვის მინისტრად დანიშვნას შეცდომას და სისტემურად არასწორ გადაწყვეტილებად აფასებენ.

„გამიჭირდება ამ კომენტარებზე რაიმე პასუხის გაცემა, რადგან, სამწუხაროდ, ძალიან არაადეკვატური კომენტარები იყო. დარწმუნებული ვარ, რომ მას შემდეგ, რაც ქალბატონი თინა და ბატონი დავითი დაძლევენ ამ ემოციებს, ისინი სხვაგვარ კომენტარებს გააკეთებენ“, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

უსუფაშვილისა და ხიდაშელის გაღიზიანება თანამდებობის დაკარგვამ გამოიწვია!

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სუზარ სუბარი მიიჩნევს, რომ დავით უსუფაშვილისა და თინა ხიდაშელის გაღიზიანება ხიდაშელის მხრიდან თანამდებობის დაკარგვამ გამოიწვია.

„დიდ პატივს ვცემ ორივე ამ ადამიანს. ძალიან მჭიდრო და კარგი თანამშრომლობა გვქონდა 4 წლის განმავლობაში. ნამდვილად არ მინდა ვიფიქრო, რომ გაღიზიანება თანამდებობის დაკარგვამ გამოიწვია. სხვა ახსნას ვერ ვპოულობ, თუმცა ძნელად წარმომიდგენია ასე იყოს“, – განაცხადა სუბარმა.

რაც შეეხება ლევან იზორიას დანიშვნას თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე, სუბარის თქმით, იზორია არის ძალიან კარგი უფლებადამცველი.

ახლა ჯერი პრეზიდენტზეა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ქორწინებასთან დაკავშირებით საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა, რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე პრეზიდენტს გადაუგზავნა, – ინფორმაციას ამის შესახებ საინიციატივო ჯგუფის წევრი სანდრო ბრეგაძე ავრცელებს.

რეფერენდუმი შემდეგ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა ჩატარდეს – თანახმა ხართ თუ არა, რომ ქორწინება განისაზღვროს, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა? სანდრო ბრეგაძის ინფორმაციით, რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით, საინიციატივო ჯგუფმა 225 ათასი ხელმოწერა შეაგროვა და ცესკო-მ პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაუგზავნა, რათა 8 ოქტომბერს დანიშნოს რეფერენდუმი. კანონმდებლობის მიხედვით, პრეზიდენტს 30-დღიანი ვადა აქვს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტისთვის.

დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მის ბრძანებულებას პრემიერ-მინისტრის თანხმობა სჭირდება.

საქართველოში ქურთუკების წარმოების ჩინური ფაბრიკა გვექნება

საპარტნიორო ფონდსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძიანგსის პროვინციის ქურთუკების ქარხანას შორის ხელშეკრულება გაფორმდა. თანამშრომლობის შესახებ ოფიციალურ დოკუმენტს ხელი სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოეწერა.

„ჩვენ ჩინურ მხარესთან ვსაუბრობთ საქართველოში ქურთუკების ფაბრიკაზე. ქურთუკების წარმოება არის სწორედ ძიანგსიში, რომელიც მარტო ჩინეთის მოსახლეობის 60 % აკმაყოფილებს. სწორედ ამ ქარხნის წარმომადგენლობის გახსნაზეა საუბარი საქართველოში, რაც ბუნებრივია, ბევრ ადამიანს დაასაქმებს და შექმნის დიდ საექსპორტო პოტენციალს. საუბარია იმაზე, რომ საქართველოში შეიკეროს ქურთუკები, რომელსაც ამ ქარხანას მსოფლიოში ცნობილი, მსხვილი ბრენდები უკვეთავენ. ჩინეთში ქურთუკების წარმოების ყველაზე მსხვილი საწარმო, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის 60%-ს საკუთარი პროდუქციით ამარაგებს, საქართველოში ქურთუკების ქარხნის ფილიალის გახსნას და საექსპორტო ბაზრის გაფართოებას გეგმავს“, – განაცხადა დავით საგანელიძემ. საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელმა დავით საგანელიძემ იმედი გამოთქვა, რომ მსხვილ ჩინურ კომპანიებთან მომავალში საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს.

საქართველოში ქურთუკების ქარხნის გახსნის შესახებ მოლაპარაკებები ჩინურ მხარესთან რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს დავით საგანელიძეს შეხვედრები ჩინეთში სამუშაო ვიზიტების დროს ძიანგსის პროვინციის მთავრობასთან და ჩინეთის უმსხვილეს ქურთუკების მწარმოებელ კომპანიასთან ჰქონდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოში საპარტნიორო ფონდის მიერ ორგანიზებულ საქართველო-ჩინეთის ბიზნესსემინარზეც გაფორმდა.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა ჩინეთის ექსიმბანკის ძილინის პროვინციის ფილიალის მენეჯმენტთან. საუბარი შეეხო საქართველოში კერამიკული ფილების წარმოების შესაძლებლობას და სხვადასხვა სფეროში ინვესტირების საკითხს. გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ.

სამთავრობო ვიზიტის ფარგლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მყოფმა საპარტნიორო ფონდის მენეჯმენტმა საქმიანი შეხვედრები გამართეს ჩინეთის უმსხვილეს ქალაქებში შანხაისა და ნანჩანგში. ჩინურ მხარესთან თანამშრომლობის შესახებ რამდენიმე მემორანდუმი გაფორმდა, მათ შორის ნანჩანგში ძიანგსის პროვინციისა და საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების სემინარის შემდეგ ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს China-Eurasian Economic Cooperation Fund (ჩინეთ-ევრაზიული ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდი)-თან. ცერემონიალს პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი, ძიანგსის პროვინციის ვიცე-გუბერნატორი და საქართველოს დელეგაციის წევრები დაესწრნენ.

ქუჩები ასფალტის ახალი საფარით

სამგორის **რაიონში გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ასფალტის საფარი გამოიცვალა როგორც მთავარ, ასევე შიდა გზებზე. დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი ასფალტის საფარი 122 601 კვადრატულ მეტრს შეადგენს, საერთო თანხი კი 5 223 726 ლარია.**

55 ქუჩაზე დასრულდა ასფალტის საფარის დაგება, 10 ქუჩაზე მიმდინარეობს, ხოლო 7 მისამართზე დაგეგმილია გზების რეაბილიტაცია. ასევე, შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები.

მწყობრში ჩადგა სამეტაპიანი სანიაღვრე ქსელი

ვაშლიჯვრის **დასახლებაში, კვანტალიანის ქუჩის №75-თან სამეტაპიანი სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა. შედეგად, ადგილობრივ მოსახლეობას ხევში ჩამდინარე წყლებისგან გამოწვეული ანტისანიტარია აღარ შეაწუხებს, რადგან წყალი ბეტონის გვირაბში მოთავსებული მილების გავლით წყალშემკრებ ჭებში მოიყრის თავს და ცენტრალურ სანიაღვრე სისტემას შეუერთდება. ობიექტზე დარჩენილია მხოლოდ მიწის მოსწორების სამუშაოები.**

დასრულებული სამუშაო გამგებლის მოადგილემ კახა გავაშელმა დაათვალიერა. მისი თქმით, პროექტის პირველი ეტაპი გასულ წელს განხორციელდა და მაშინ 125 გრძივი მეტრის სანიაღვრე მოეწყო, წელს კი პროექტის მეორე და მესამე ეტაპები განხორციელდა და ჯამში, სანიაღვრის სიგრძე 224 მეტრია. პროექტის პირველ ეტაპზე კომპანია „ფენიქსმა“, მეორეზე „ენ-ეს გრუპმა“, მესამეზე კი „პალიტრამ“ იმუშავეს.

სოხუმში ცვლილებები შეინიშნება... ეს თავისით არ მოხდარა და დიდი შრომის შედეგია

როგორც მოსალოდნელი იყო, პაატა ზაქარეიშვილი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოზიციაზე მისმა პირველმა მოადგილემ ქეთევან ციხელაშვილმა ჩაანაცვლა.

როგორც ახალმა მინისტრმა წარდგენისას აღნიშნა, ის სამშვიდობო პოლიტიკის გაგრძელებას გეგმავს.

პრემიერის მეორე საკადრო გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, რომელიც თავდაცვის მინისტრს ეხება, ანალიტიკოსები ამ ნაბიჯს იწონებენ.

პრემიერის გადაწყვეტილებას ლოგიკურად მიიჩნევს ანალიტიკოსი ლევან გერაძეც.

— არჩევნებამდე დარჩენილია ორი თვე და 5 დღე. ამ ხნის განმავლობაში ახალი ფიგურის მოყვანა მართებული გადაწყვეტილება არ იქნებოდა. ეს უნდა ყოფილიყო გუნდის გათვითცნობიერებული წევრი, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩართულია საქმეში, კარგად იცის ჟენევის ფორმატი და დეტალები, რომელიც ყოველდღიურ მუშაობაში იჩენდა თავს. არჩევნების შემდეგ რა იქნება — დრო გვიჩვენებს, მაგრამ არჩევნებამდე შეფერხებები რომ არ ჰქონოდა ოფისის მუშაობას, პრემიერს ის გადაწყვეტილება უნდა მიეღო, რომელიც მიიღო.

— გამოვრიცხოთ წინასაარჩევნო პერიოდი და ზოგადად პოლიტიკა. თავად ქეთევან ციხელაშვილს, როგორც კადრს, ახალ თანამდებობაზე როგორ აფასებთ?

— ქეთევან ციხელაშვილთან ერთად ვიმუშავე 2004 წლიდან. ზოგადად კი იმ დროიდან ვიცნობ, როდესაც ჯერ კიდევ სტაჟირებაზე გახლდათ საგარეო საქმეთა სამინისტროში და ამ თემებზე მუშაობდა. შემიძლია შევაფასო იგი როგორც ძალიან მოტივირებული, შრომისუნარიანი და შრომისმოყვარე ადამიანი, რომელმაც თემა კარგად იცის. ვფიქრობ, რომ ამ თანამდებობაზე ძალიან სასარგებლო კადრია. თუმცა, პოლიტიკური თვალსაზრისით ვერ ვისაუბრებ, მთავრობის წევრობა მაინც სხვა რამეს ნიშნავს, აქ პოლიტიკურ გავლენებზეა საუბარი და არა, ვთქვათ, ტექნიკურად საკითხის ცოდნაზე, — ეს უკვე არჩევნების შემდგომი თემაა და პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე იღებენ ხოლმე გადაწყვეტილებებს. ვიმეორებ, საკითხის ცოდნაში ადამიანი ვერაფერს დაუწუნებს.

— შესაბამისი კონტაქტების ფლობის თვალსაზრისით?

— ბოლო 4 წელი მინისტრის მოადგილის პოზიციაზე მუშაობდა და გამორიცხულია, კონტაქტები არ ჰქონდეს. მისი უშუალო მოვალეობა იყო კონტაქტები, მათ შორის — ჟენევის ფორმატში. ჩემი კონტაქტები, რომელიც მაქვს აფხაზურ თუ ოსურ მხარესთან, საიდან მოვიდა? — ბუნებრივია, სამუშაო პროცესში. ჩემს შემთხვევაში ადრეული საფუძვლებიც არსებობდა. მე სოხუმიდან ვარ წარმოშობით და ადრინდელი კონტაქტებიც მქონდა, მაგრამ სამუშაო კონტაქტებს რაც შეეხება, ყველაფერი სამუშაო პროცესში დგება. ციხელაშვილი, როგორც უკვე ვთქვი, 4 წელი მინისტრის პირველი მოადგილის პოზიციაზე ამ მიმართულებით მუშაობდა. მანამდეც, როდესაც ჩვენთან მუშაობდა და საერთაშორისო ურთიერთობებს ხელმძღვანელობდა, ჰქონდა კონტაქტები. პირადად არ ვიცნობ მის დიპლომატიას, მაგრამ ვვარაუდობ, რომ ამ თანამდებობაზე ამდენი წლის განმავლობაში მუშაობის შემდეგ ადამიანს კონტაქტები არ ჰქონდეს, წარმოუდგენელია.

— შევაფასოთ პაატა ზაქარეიშვილის მუშაობის პერიოდი. რა მიგაჩნიათ ხარვეზად და რა — ხილულ შედეგად?

— შეიძლება ითქვას, რომ პაატა ზაქარეიშვილს ყველაზე რთულ პერიოდში მოუწია მუშაობა, როდესაც ძალიან ბევრი რამის გადალაგება მოხდა. რთულ პერიოდში — იმ თვალსაზრისითაც, რომ 2008 წლის შემდეგ აფხაზურ და ოსურ მხარეს პრაქტიკულად არ ჰქონდათ მოტივაცია და შეესაძლებლობა, ქართულ მხარესთან გაეუმჯობესებინათ ურთიერთობები. მიუხედავად ამისა, ვიცი, რომ პაატას საკმაოდ კარგი კონტაქტები ჰქონდა ორივე მხარესთან და გარკვეული პროცესების დაძვრას ცდილობდა. სამწუხაროდ, მე პროცესებში ჩართული არ ვიყავი და არ ვიცი, რა საქმეები სადამდეა მისული. რამდენადაც ვიცი, ახალ სტრატეგიაზე მიმდინარეობდა მუშაობა, თუმცა ის ჯერ საჯარო არ არის და არ ვიცნობ. შედეგებზე ძალიან რთულია საუბარი. სამწუხაროდ, კონფლიქტი ისეთი რამ არის, რომ მხოლოდ ერთი მინისტრი და მხოლოდ ქართული მხარის ძალისხმევა მას ვერ მოაგვარებს. ეს ძალიან ბევრ რამეზე, მათ შორის საქართველოს გარეთ არსებულ ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. რამდენადაც ვიცი, კონფლიქტის მეორე მხარეებთან ურთიერთობა, ასე თუ ისე, დალაგებული იყო. პრინციპში, მე თუ მკითხავთ, ეს ყოველთვის ყველაზე ნაკლები პრობლემა იყო, ვინაიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება იყო ეს თუ მოსახლეობა, ასე თუ ისე, კონტაქტები ყოველთვის გვქონდა. სამწუხარო ის არის, რომ ეს რაღაც ხელშესახებ პოლიტიკურ შედეგში არ ითარგმნებოდა, თორემ თავად კონტაქტი პრობლემას არ წარმოადგენს.

— კონფლიქტის მოგვარების მხოლოდ პაატა ზაქარეიშვილისთვის დაკისრება, ბუნებრივია, უტოპიური და უსამართლო დავალება იქნებოდა, მაგრამ რაღაც ტენდენციები გარკვეული მიმართულებებით ხომ უნდა ჩანდეს? ამ ტენდენციებს თქვენ რაში ხედავთ? ამასთან, მინდა, ხარვეზზეც ისაუბროთ...

— მე არ ვარ შიდა პროცესში ჩართული და შიგნით ხარვეზს ვერ დავინახავ. ჩემთვის ხარვეზია ის, რომ მე დღეს თბილისში ვარ და არა სოხუმში. ვინაიდან შიდა მუშაობის სპეციფიკას არ ვიცნობ, მიჭირს საუბარი.

ერთი მომენტიც არის: პაატა ზაქარეიშვილი არა მხოლოდ შერიგების მინისტრი იყო, არამედ სამოქალაქო თანასწორობისაც. მას ევალებოდა პოლიტიკის შემუშავება არა მხოლოდ კონფლიქტების მოგვარების საქმეში, არამედ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართულებითაც. რამდენადაც ვიცი, ეს აპარატი ამ მიმართულებით საკმაოდ დიდ შრომას წარმართავს. მე ამ თემაზე მათთან ერთად არასოდეს მიმუშავია. ზოგადად მეტს ვისურვებდი, მაგრამ კარგი შედეგი ის არის, რომ პაატა ზაქარეიშვილის პერიოდში (თუმცა ეს არა მხოლოდ მისი დამსახურებაა) 2008 წლის შემდეგ უეცრად შეწყვეტილი ურთიერთობების გარკვეულწილად აღდგენა მოხერხდა. ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობდა ამას: სახელისუფლებო, ოპოზიციური და არასამთავრობო სექტორიც ძალიან დიდ ძალისხმევას წარმართავდა, რომ აფხაზურ და ოსურ მხარესთან გარკვეული ურთიერთობები აღდგენილიყო. შემიძლია, ვთქვა, რომ რადიკალურად — არა, მაგრამ იქეთ მხარეს გარკვეული ცვლილებების ტენდენციები არსებობს და ეს ქართული სახელმწიფოს დიდი წარმატებაა. განსაკუთრებით აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის შესახებ შეიძლება, ითქვას, რომ ალტერნატივების ძიებაში საქართველოსაც განიხილავს. ეს ტენდენციები, რასაკვირველია, სუსტია, მაგრამ როდესაც საკითხზე მსჯელობა მიდის, ქართულ გამოცდილებას სკურპულოზურად აკვირდებიან, ცდილობენ, გაარკვიონ, რა გაკვეთილი გამოვიტანეთ ჩვენი შეცდომებიდან, როდესაც მათთვის საინტერესოა ის გზა, რომელსაც ქართული სახელმწიფო ამ ხნის განმავლობაში ადგას და ა.შ., ეს ყველაფერი, ბუნებრივია, დიდი შრომის შედეგია და თავისთავად არ მოსულა. შეიძლება, ითქვას, რომ ამ საკითხში ლომის წვლილი პაატასაც მიუძღვის, თუმცა, ვიმეორებ, ეს ზოგადად პოლიტიკური სპექტრის და არასამთავრობო სექტორის მუშაობის შედეგიც არის.

— აფხაზურ მხარეს ამ ტენდენციების არსებობაზე რა წყაროებზე დაყრდნობით საუბრობთ?

— პირად კონტაქტებზე დაყრდნობით.

ესაუბრა
გიული აფხაიძე
„აქცენტი“

◎ ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი...

მე, ორი ათას ორას მეშვიდე დევნილი...

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია თბილისში ბინის მიღების მსურველ დევნილთა თერთმეტათასკაციანი სია (სიის გამოქვეყნების თარიღი 2016.07.20).

სიაში რიგითობის თანმიმდევრობა დაცულია ქულათა რაოდენობის მიხედვით. ქულა კი დევნილ ოჯახებს მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე აღნიშნულმა სამინისტრომ მიანიჭა. რაც უფრო მეტი გაქვს ქულა, მით უფრო წინა რიგებში ხარ. მე (აფხაზეთიდან დევნილი) ამ სიაში ორი ათას ორას მეშვიდე ვარ. ანუ, ჩემზე წინ ბინა უნდა მიიღოს ორი ათას ორას ექვსმა ადამიანმა.

როგორც ამბობენ, წელიწადში თბილისში დაახლოებით 400-მდე დევნილს აკმაყოფილებენ ბინით. ამ ლოგიკით მე ხუთი წლის შემდეგ უნდა მივიღო ბინა. ესე იგი, ოცდახუთწლიანი ლოდინის შემდეგ კიდევ ხუთი წელი უნდა ველოდო? ახლა იმათი მდგომარეობაც წარმოვიდგინოთ, ჩემს მერე რომ არიან სიაში და ამ ხნის განმავლობაში გაჭირვებით ქირაობენ ბინას. კიდევ რამდენ ხანს ელოდონ? ან იმან რა ქნას, ვინც ჩემსავით, მიზერული თანხით და ისიც ლარებში, წლების წინათ დაიგირავა ბინა და რა ხანია, უკვე მთლიანად ბინის მეპატრონეზეა დამოკიდებული — ქუჩაში აღმოჩნდება, თუ კვლავაც გაუგრძელდება გირაო. არადა, გირაოს კვლავაც გაგრძელება ბინის მეპატრონეს სულაც არაფერში არ სჭირდება, მაგრამ როგორ მოიქცეს, როგორ გაყაროს ქუჩაში წესიერი მდგმურები, რომლებსაც წასასვლელი არსად არა აქვთ: ბინას ვერ იქირავებენ, ამდენ ლოდინში უკვე პენსიონერები გამხდარან და ვერ იგირავებენ, იმიტომ რომ თანხა, რომელიც ბინის მეპატრონეს მათთვის დასაბრუნებელი აქვს, ლარის დევალვაციის პირობებში იმდენად მიზერულად ქცეულა, რომ სასაცილოც არის ამ თანხით ბინის დაგირავებაზე ფიქრიც კი. ასე გადის წლები.

არჩევნები მოახლოვდა და თუ ვინმე შემეკითხება, ვინ მინდა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დევნილთა მინისტრად, უყოყმანოდ ვუპასუხებ: — კულტურის ამჟამინდელი მინისტრი მიხეილ გიორგაძე!

რატომ?! პასუხი მარტივია: ამ ადამიანმა შეძლო, დაერწმუნებინა მთავრობა, რომ უცხოელი შემსრულებლების ჩამოყვანა 29 მილიონ ლარად, საქართველოს უღირდა.

მელომანი კი ვარ, მაგრამ რამდენად სწორი იყო ასეთი გადაწყვეტილება, ამის განსჯას არ შევუდგები. ფაქტია, რომ გიორგაძემ მოინდომა და გააკეთა.

სპეციალისტების აზრით ერთი საცხოვრებელი კორპუსის აშენებას დაახლოებით 700-800 ათას ლარი სჭირდება. წარმოიდგინეთ, 29 მილიონად დევნილებისთვის რამდენი კორპუსის აშენება შეიძლებოდა. 29 მილიონი იქით იყოს, 10 მილიონის ფარგლებში რაც აშენდებოდა იქ, თუ ყველა ვერა, ყოველ შემთხვევაში მე, რიგით ორი ათას ორას მეშვიდე, წელს აუცილებლად მივიღებდი ბინას. ჩემსავით რამდენი დევნილი ოჯახი გაიხარებდა! რაც მთავარია, დევნილთა განსახლების გრძელვადიანი პროგრამა (როგორც მას უწოდებენ) ბევრად უფრო რეალური გახდებოდა. ახლაც რეალურიაო, გეტყვიან, ოღონდ დრო უნდაო. ამდენი ხანი თუ იცდიდით, ახლაც მოიცადეთ ცოტა, რაც მთავარია, პროგრამა ამუშავდაო (კი, ასეთ პასუხსაც გაიგონებ).

ჰოდა, სწორედ ამიტომაც მინდა ჩემს მინისტრად მიხეილ გიორგაძისთანა კაცი. ერთი ხელის მოსმით რომ გადაჭრის პრობლემას. იტყვის და დააჯერებს. იტყვის და გააკეთებს. ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, სიმართლის მარცვალი არ ერიოსო, — ნათქვამია. სიმართლე კი ეს არის, რაც გითხარით.

მზია გელენავა
ჟურნალისტი

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების რუტინული შეხვედრა დიპკორპუსთან

საკონსტიტუციო სასამართლოს სამი მოსამართლე „ჰოლიდეი ინში“ გუშინ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ლალი ფაფიაშვილის, ოთარ სიჭინავასა და ზაზა თავაძის აუდიენცია დიპკორპუსის წარმომადგენლებთან საათ-ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა.როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ მოსამართლე ლალი ფაფიაშვილმა აღნიშნა, მათ დიპლომატებს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ბოლო პერიოდში სასამართლოს პარალიზების შესახებ მედიაში გავრცელებული ინფორმაციები, სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

„ჩვეულებრივი რუტინული შეხვედრა იყო. შეხვედრა მიზნად ისახავდა ინფორმაციის მიწოდებას იმის შესახებ, რომ ბოლო პერიოდში მედიაში ატეხილი აჟიოტაჟი სასამართლოში მიმდინარე დაძაბული ვითარებისა და სასამართლოს პარალიზების შესახებ, საფუძველს მოკლებულია. აქედან პირდაპირ მივდივართ ბათუმში. ჩვეულებრივ ვაგრძელებთ მუშაობას“, — განაცხადა ლალი ფაფიაშვილმა. შეხვედრას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი არ დასწრებია.

ტყუილს დაგვაბრალებენ – ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ის დაინტერესდა წითელაშვილთან დაკავშირებით გავრცელებული საკითხით და მთავარ პროკურორს ესაუბრა. პრემიერის თქმით, პროკურორი აცხადებს, რომ მას თავდაცვის უწყებიდან ამასთან დაკავშირებით არც ერთი მიმართვა არ მიუღია.

პრემიერი მიიჩნევს, რომ ტრისტან წითელაშვილთან დაკავშირებული საკითხი იმ კამპანიის გაგრძელებაა, „როცა რაღაცას დაგაბრალებენ და მერე პასუხი უნდა გასცე“.

გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსის, გენერალ გიგი კალანდაძის მტკიცებით, აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე აშენებული საიდუმლო სამხედრო ობიექტების კოორდინატები და მთელი ინფორმაცია, მინდია ჯანელიძის მინისტრობის დროს სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდა.

„პოსტსკრიპტუმთან“ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი საცეცხლე წერტილებზე მინდია ჯანელიძის მინისტრობის დროს დანიშნულმა, გენინსპექციის თანამშრომელმა გოდერძი ორმოცაძემ შეიყვანა, რომელმაც საიდუმლო ბაზაზე შესვლა სამსახურებრივი საშვით შეძლო.

ტრისტან წითელაშვილი კი ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ გიგი კალანდაძე სტყუის და „რუსთავი-2“-ს სიცრუის გავრცელეისთვის სასამართლოში უჩივის.

რა ისოდა გენშტაბის უფროსმა ტრისტან წითელაშვილის სკანდალზე?

ტრისტან წითელაშვილის შესახებ „პოსტკრიპტუმში“ გავრცელებულ ინფორმაციას გენერალური შტაბის უფროსი გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს შემთხვევა ცნობილი იყო მისთვის და თავის დროზე კომპეტენტური ორგანოები სწავლობდნენ ამ საკითხს. უნდა დაიწყოს თუ არა გამოძიება, ვახტანგ კაპანაძემ უპასუხა, რომ ეს მას არ ეხება.

„მე მეხება მხოლოდ შეიარაღებული ძალების მართვა, აღნიშნული დარღვევების თუ არდარღვევების შესახებ, შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან და ალბათ უნდა დაიდოს დასკვნა და გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად მოხდა ან არ მოხდა ეს ფაქტი, როგორ მოხდა და ასე შემდეგ“, – განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ ჟურნალისტებთან გაკეთებული კომენტარის დროს.

ხიდაშელს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გარიგებაში ადანაშაულებს!

ყოფილი პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი მზადაა, გამოძიებასთან ითანამშრომლოს. მისი თქმით, პროკურატურას ენდობა და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მზადაა, პასუხი აგოს. წითელაშვილი თავდაცვის ყოფილი მინისტრის თინა ხიდაშელის მიერ გაკეთებულ განცხადებასაც ეხმაურება და მას „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირში ადანაშაულებს.

„მე მიყავი თელეთის ბაზაზე, მე ჩავაყენე საქმის კურსში გენერალური ინსპექციის უფროსი, ბატონი ხორბალაძე. ბუნებრივია, გენერალური ინსპექციის მეშვეობით მინდია ჯანელიძე საქმის კურსში იყო და მანაც დაიწყო ამ საქმეების ირგვლივ მასშტაბური მუშაობა და გამოძიება. ხიდაშელს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გარიგებაში ვადანაშაულებ. ამიტომ იყო, რომ პირდაპირ უთხრა გოდერძი ორმოცაძეს, შენ ხარ მეგობარი პირადად ჩემი მტრისო, ამიტომ შენ სამსახურში არ უნდა იყოო“, – განაცხადა ტრისტან წითელაშვილმა.

დავით ნარმანიას მოადგილეებად გიგა ნიკოლეიშვილი და ნატო ქიტიაშვილი დაამტკიცეს

თბილისის საკრებულომ დედაქალაქის მერის მოადგილის თანამდებობაზე ნატო ქიტიაშვილიც დაამტკიცა. მანამდე კი ნარმანიას მოადგილის პოსტი 23 დეპუტატის მხარდაჭერით გიგა ნიკოლეიშვილმა დაიკავა.

ნატო ქიტიაშვილისა და გიგა ნიკოლეიშვილის კანდიდატურები საკრებულოს წევრებს მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძემ წარუდგინა, რის შემდეგაც დეპუტატებმა ნატო ქიტიაშვილის სამოქმედო გეგმას მოუსმინეს და კითხვებითაც მიმართეს. საბოლოოდ, მას მხარი დაუჭირა 26-მა დეპუტატმა, 9 მოწინააღდეგე იყო, 4-მა კი თავი შეიკავა. ქიტიაშვილი ამ დრომდე თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი იყო, ნიკოლეიშვილი კი დედაქალაქის მთავრობის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს გიორგი უკლება უხელმძღვანელებს

თბილისის საკრებულომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი უკლება დაამტკიცა. საკრებულოს სხდომაზე მას მხარი 27-მა დეპუტატმა დაუჭირა, 10 წინააღმდეგი იყო, ორმა კი თავი შეიკავა.

როგორც უკლებამ განაცხადა, ამაყობს პოლკოვნიკის წოდებით და იმით, რომ წლების განმავლობაში მუშაობდა შსს-ში.

მისივე თქმით, ზედამხედველობის სამსახური მაკონტროლებელი ორგანოა და შესაბამისად, მისი დანიშვნა ამ თანამდებობაზე კითხვებს არ უნდა იწვევდეს.

დღესვე საკრებულომ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსად ირაკლი ქუცურაული დაამტკიცა, რომელიც აქამდე ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე იყო.

არა ბიჭო, ვერ უპასუხებდა!

მიხეილ სააკაშვილი საიას ეხმაურება და განცხადებას „ფეისბუქით“ ავრცელებს:

„ცოტათი მიკვირს, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, რომელსაც ნამდვილად დიდ პატივს ვცემ, აქვს იმდენი დრო და რესურსი, რომ საქართველოში არსებული სრულიად უკანონო ვითარების ფონზე, როდესაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ილახება ადამიანების უფლებები, აშინებენ მოსამართლეებს და ხდება მოქალაქეების დატერორება, აანალიზოს ჩემი გამოსვლები და მიმართვები. გთხოვთ, გაიხსენოთ, რის საფუძველზე ჩამომერთვა მოქალაქეობა და ჩაუღრმავდეთ ამ გადაწყვეტილების ნამდვილ მიზეზებს. კანონი უზენაესია ჩემთვის, თუმცა, ოთარ ჭილაძის ფრაზა მახსენდება: „მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი იმას, რაც ჩემი ნებით არ დამითმია“. სადაც არ უნდა ვიყო, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ვმოღვაწეობდე, მე ვრჩები ჩემი ქვეყნის ერთგული. საქართველოს მოქალაქეობა რუსი ოლიგარქის მარიონეტების მიერ ხელმოწერილი ფარატინა დოკუმენტით არ განისაზღვრება.

ვერანაირი ჯარიმა ვერ შემაშინებს, რომ ვებრძოლო იმ დიდ უსამართლობას, რომელიც ახლა ჩვენს სამშობლოშია“.

შეგახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია ყოფილი პრეზიდენტის დაჯარიმებას ითხოვს და მიიჩნევს, რომ სააკაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენაზე, ბათუმის მოსახლეობისადმი ვიდეომიმართვით წინასაარჩევნო აგიტაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა დაარღვია.

ცრუპენტელა მიშა და დონალდი

ესპანური პრესა: ბათუმელები დონალდ ტრამპს შეუსრულებელ დაპირებას ახსენებენ, რატომ აქო და ადიდა სააკაშვილმა ბათუმში ჩასული ტრამპი?

გავლენიანი ესპანური გამოცემა „El Diario“, ჟურნალისტ საიმონ კინტეროს სტატიას აქვეყნებს, სადაც საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის საქართველოსთან კავშირების შესახებაა.

საქართველოს შავიზღვისპირა საკურორტო ქალაქ ბათუმის მცხოვრებლები ამბობენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა, რესპუბლიკელმა დონალდ ტრამპმა არ შეასრულა ცათამბჯენის აშენების დაპირება, რომელიც მან 2012 წლის აპრილში ბათუმში ყოფნის დროს გამოაცხადა. მულტიმილიარდერმა დონალდ ტრამპმა, რომელსაც თან საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ახლდა, დიდის ამბით განაცხადა, რომ ბათუმში 47-სართულიან „ტრამპ-თაუერს“ ააგებდა, სადაც სასტუმრო, კაზინო და სხვა მრავალი გასართობი დაწესებულებები განთავსდებოდა. „მაგრამ სიტყვას საქმე არ მოჰყოლია, დაპირება დაპირებად დარჩა, ბათუმში არავითარი „ტრამპ-თაუერი“ არ აშენებულა“, – ამბობს ესპანური საინფორმაციო სააგენტო „EFE“-ს კორესპონდენტთან საუბარში გიორგი მასალკინი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.

დონალდ ტრაპის გეგმის პრეზენტაციიდან ნახევარი წლის შემდეგ აჭარის ავტონომიაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ხელისუფლება შეიცვალა და აღმოჩნდა, რომ ბათუმში ცათამბჯენის აგების თაობაზე თურმე არავითარი დოკუმენტი არ არსებობს. **„კი განაცხადეს, რომ ბათუმში „ტრამპ-თაუერი“ აშენდებაო, მაგრამ ამ მიზნით არავითარი იურიდიული შეთანხმება (კონტრაქტი) არ დადებულა,** – თქვა ერთ-ერთმა ანონიმურმა წყარომ აჭარის მთავრობაში.

„როგორც კი თავისი მდგომარეობის შესუსტება იგრძნო, მიხეილ სააკაშვილმა დონალდ ტრამპი საქართველოში მოიწვია, რათა ქართველებისთვის ეჩვენებინა - აი, ხედავთ, ამერიკაში რა მაგარი და გავლენიანი მეგობრები მყავსო. ამერიკელი მილიარდერი ბათუმში ყოფნის დროს მიხეილ სააკაშვილმა აქო და ადიდა“, – ამბობს ერთ-ერთი ექსპერტი. იმ ხანებში მიხეილ სააკაშვილი აშშ-ის პრეზიდენტობის დღევანდელ კანდიდატს **„მსოფლიოში ყველაზე დიდი მშენებელი და დეველოპერი“** უწოდა, **„დონალდ ტრამპი ის კაცია, რომელიც მუდმივად რისკავს და არავისი არ სჯერა, პესიმისტებს ყურადღებას არ აქცევს. მან იცის, რაც უნდა და ვერაფერი შეაჩერებს მიზნის მიღწევის გზაზე“,** – ამბობდა იმ დროს მიხეილ სააკაშვილი.

ამ სიტყვებიდან ექვსი თვის თავზე მიხეილ სააკაშვილმა ხელისუფლება დაკარგა. ის კორუფციასა და სახელმწიფო ხაზინის განიავებაში დაადანაშაულეს და ბევრი მისი არქიტექტურული პროექტი, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, ახალმა მთავრობამ გააუქმა იმ მოტივით, რომ გამოთავისუფლებული თანხა სოციალური საკითხების, პირველ რიგში, ჯანდაცვის სფეროს მოხმარდებოდა.

ჟურნალისტ თამარ კიკნაძეს ახსოვს, რასაც 2012 წელს იმდროინდელი ხელისუფლება აცხადებდა – ცათამბჯენი სახელმწიფო ხარჯით აშენდებაო. ცხადია, საქართველოს მთავრობა დონალდ ტრამპსაც დიდ ფულად ჯილდოს ჰპირდებოდა. მას ისიც კარგად ახსოვს, რომ პოლიტიკური ოპოზიცია და ბათუმის მოსახლეობა ამ პროექტის განხორციელების წინააღმდეგ გამოდიოდა, რადგან შენობა ზღვისპირას უნდა აშენებულიყო, გართობა-დასვენების ზონაში, ბათუმელებისათვის ერთობ პოპულარულ, საყვარელ ადგილზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმელებს ამერიკელმა მილიარდერმა იმედი გაუცრუა, ქალაქი მაინც სამხრეთკავკასიური პატარა, თბილი ქვეყნის ყველაზე პოპულარულ კურორტად, ტურიზმის ცენტრად ითვლება. საქართველომ მიმდინარე წლის ხუთ თვეში, პირველად ისტორიაში, რეკორდული რაოდენობის სტუმარი მიიღო – 2,1 მილიონი ტურისტი, რაც 15,1%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

◎ სასკოლო წიგნები

3 წელი და 3 მინისტრი – გამომცემლობების პრობლემები კვლავ მოუგვარებელია

გამომცემლობები განათლების ახალ მინისტრს ალექსანდრე ჯეჯელავას უყურადღებობაში ადანაშაულებენ. ისინი უკვე 3 წელია, სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვის პროცესში გამომცემლობების ჩართვას მოითხოვენ, თუმცა, მიზანს 3 მინისტრის შეცვლის მიუხედავად, ვერ მიაღწიეს.

გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი **კახა კუდავა** აცხადებს, რომ ახალი მინისტრი აგრძელებს იმ მავნე ტრადიციას, რომელიც გიორგი მარგველაშვილი სკოლის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემის ინიციატივით გამოვიდა.

სამინისტრომ, საბიუჯეტო ხარჯების დაზოგვის მიზეზით, გამომცემლობებთან თანამშრომლობა შეწყვიტა და სასკოლო სახელმძღვანელოების დაბეჭდვა რამდენიმე სტამბას დაუკვეთა. ტენდერი ბეჭდვაზე არ გამოცხადებულა. როგორც მარგველაშვილი განმარტავდა, მოლაპარაკებების საფუძველზე შეირჩა 4-5 სტამბა, შერჩევის კრიტერიუმი კი 3-ჯერ ნაკლები ფასი იყო.

გამომცემლობები **„ინტელექტი“, „ლოგოს პრესი“, „დიოგენე“ და „არტანუჯი“** განათლების სამინისტროს საკუთრების უფლების დარღვევაში ადანაშაულებდნენ და 15 მილიონი ლარის ზარალის ანაზღაურებას ითხოვდნენ, თუმცა უშედეგოდ. მაშინ ისინი “კომერსანტთან“ განმარტავდნენ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება უარყოფითად აისახა გამომცემლობების არა მარტო შემოსავლებზე, არამედ ზოგადად, მათ საქმიანობაზეც.

მოკლედ – სამი წელი, სამი მინისტრი, წყლის ნაყვა და მილიონობით ლარის ზარალში ჩავარდნილი გამომცემლები.

თამარ ციხისელი

◎ გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა!

გარემოს დაცვის სამინისტრომ თბილისის ავტოგასამართ სადგურებში უხარისხო საწვავი ვერ აღმოაჩინა!!!

თბილისში მაღალხარისხიანი საწვავი იყიდება – ასეთია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ბენზინისა და დიზელის ხარისხის შემოწმების შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდამცველები წლებია, საუბრობენ ქვეყანაში სარეალიზაციოდ შემოტანილი საწვავის დაბალ ხარისხზე, რაც გარემოს დაბინძურებას იწვევს, გარემოს დაცვის სამინისტრომ საწვავის ხარისხში პრობლემები ვერ აღმოაჩინა.

უწყებამ ბენზინისა და დიზელის ხარისხის კონტროლი მიმდინარე წლის მაისიდან დაიწყო. სამინისტროს თანამშრომლებმა ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის სინჯები აიღეს და მას ლაბორატორიული ანალიზი ჩაუტარეს.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, ქვეყანაში დადგენილ სტანდარტებთან საწვავის ხარისხის შეუსაბამობის შემთხვევაში ჯარიმა 8 ათას ლარს შეადგენს. ბიზნეს-ოპერატორები დაჯარიმდებიან იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ სარეალიზაციოდ გამოტანილი საწვავი საქართველოს დადგენილებით დაწესებულ მოთხოვნებს არ შეესაბამება – საუბარია ნავთობპროდუქტში ტყვიის, ბენზოლის, გოგირდისა და სხვა ნივთიერებების განსაზღვრულ მოცულობებზე, რომელსაც არ უნდა აჭარბებდეს სარეალიზაციოდ გამოტანილი საწვავი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტმაენტის მთავარი სახელმწიფო ინპსექტორი ნელი კორკოტაძე „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ სამინისტრომ შეამოწმა ბენზინისა და დიზელის საწვავში საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ნორმებთან შესაბამისობა.

შემოწმდა თბილისში არსებული 9 ავტოგასამართი სადგური, როგორც ბრენდირებული, ისე არაბრენდირებული ობიექტები – მათ შორის, **„ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, „რომპეტროლ საქართველო“, „ლუკოილ ჯორჯია“, „სან პეტროლიუმ ჯორჯია“, „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“. სინჯები აიღეს ისეთ მცირე ტიპის კომპანიებშიც, როგორებიცაა: ასევე „თრეიდ ინ ჯორჯია“, შპს „ინტერგანი“, „ფრეგო“ და „ბიპი“.**

ნელი კორკოტაძე ამბობს, რომ **ბენზინის საწვავში შემოწმდა ოქტანობის და ტყვიის შემცველობა, ასევე გოგირდის მასური წილი. დიზელის საწვავში ცეტანუსის და გოგირდის მასური წილი. სამინისტროს წარმომადგენლის ცნობით, კვლევებმა აჩვენა, რომ ყველა ავტოგასამართ სადგურზე აღებული სინჯი შესაბამისობაში იყო დღეს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან, ანუ, არსად დარღვევა არ დაფიქსირდა. კორკოტაძე ამბობს,რომ ექსპერტიზა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში ჩატარდა.**



მისივე ინფორმაციით, **ყველა დასახელებულ ავტოგასამართ სადგურზე გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლები გაუფრთხილებლად შევიდნენ. კორკოტაძე ამბობს, რომ უახლოეს მომავალში სამინისტრო ამ მიმართულებით შემოწმებას რეგიონებშიც გეგმავს.**

„ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის“ თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი ექსპერტიზის დასკვნით კმაყოფილია და აცხადებს, რომ ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. მისი თქმით, სწორედ ბიზნეს-ინდუსტრია იყო ერთ-ერთი ინიციატორი იმისა, რომ ხარისხის კონტროლი გამკაცრებულიყო. შესაბამისად, იმპორტიორთა კავშირი თავადაც გეგმავს საქართველოს ბაზარზე არსებული საწვავის ხარისხის კონტროლს.

მიუხედავად იმისა, რომ **დაბალხარისხიანი საწვავი გარემოს ერთ-ერთი დამბინძურებელია და ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს, მიმდინარე წლის მაისამდე საწვავის კონტროლს არც ერთი უწყება არ ახორციელებდა და პროდუქციის შემოწმება თავად ბიზნესის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. კონტროლის დასაწყებად ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა, შესაბამისად, გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებს დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში სანქციების დაკისრების უფლება მიეცათ.**

სოფო ქსოვრელი

სამწუხაროდ, ჩვენი ფერმერების უმრავლესობა „ტყემალზე ზის“!

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროდაა გამოცხადებული, ისევე როგორც ასოცირების ხელშეკრულების შესაძლებლობების გაცნობა საზოგადოებისთვის. ამის მიუხედავად, კვლევამ, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა ფერმერთა ასოციაციის დახმარებით ჩაატარა, საკმაოდ შემაშფოთებელი შედეგები აჩვენა ფერმერთა ინფორმირებულობის თვალსაზრისით.

კვლევაში წარმოდგენილი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი მწარმოებლებისა და მცირე ზომის გადამამუშავებელი საწარმოების საჭიროებები. გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს 5 რეგიონში (კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და გურია) და გამოიკითხნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი მწარმოებლები და მცირე ზომის გადამამუშავებელი საწარმოები – სულ 500 რესპონდენტი. გამოყენებული იქნა ნახევრად სტრუქტურული კითხვარი. რესპონდენტები გამოიკითხნენ კომპიუტერის მეშვეობით ჩატარებული სატელეფონო ინტერვიუს (CATI) მეთოდით.

კვლევის მიგნებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: რესპონდენტთა დაახლოებით 80 პროცენტს დასაქმებული ჰყავს 5 ან ნაკლები ადამიანი. გამოკითხული 428 ფიზიკური პირისა და მცირე საწარმოდან სულ 3-ს გააქვს ექსპორტზე საკუთარი პროდუქცია. ისინი ტრადიციული ქართული პროდუქციის – ღვინის (2) და ჩაის (1) მწარმოებლები არიან, რაც ნიშნავს, რომ ახალი შესაძლებლობები ფერმერთა უმეტესობას, პრაქტიკულად, არა აქვს ათვისებული.

კვლევის თანახმად, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და არასაკმარისი ინფრასტრუქტურა (მათ შორის, მიწა) აგრარული პროდუქციის მწარმოებლებისთვის ორ მთავარ პრობლემად რჩება. მეცხოველეობით დაკავებულ რესპონდენტთა 1/3 აცხადებს, რომ არ სარგებლობს ვეტერინართა მომსახურებით. ამის მიზეზი როგორც ფინანსური, ისე ხელმისაწვდომობის პრობლემაა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ არც სასაკლაოების გამოყენების ვალდებულებას ასრულებს ყველა რესპონდენტი. გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის 50% არ ასრულებს DCFTA-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენების შესახებ ჩანაწერების წარმოების მიმართულებით.

გამოკითხულთა უმრავლესობა (53 %) არ იყენებს ლაბორატორიულ კვლევებს, ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ლაბორატორიის ტერიტორიული სიშორე და მომსახურების ფასებია.

HACCP-ის დანერგვა 2020 წლიდან სავალდებულო იქნება მეცხოველეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი საშუალო და მცირე ზომის ფერმერებისთვისაც. მიუხედავად ამისა, იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (73 %), რომელთაც ამ სისტემის დანერგვა მოუწევთ, არ ფლობს ინფორმაციას ამ მოთხოვნების შესახებ.

რესპონდენტების 72 %-ს არა აქვს ინფორმაცია საქართველოს შელავათიანი საექსპორტო რეჟიმების თაობაზე. მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომ ის ფერმერები, რომლებიც კოოპერატივების წევრები არიან, სხვა, კოოპერატივის არაწევრი, ფერმერებისგან განსხვავებით, არ გამოირჩევიან ზოგადი ინფორმირებულობის უფრო მაღალი ხარისხით, რაც ნიშნავს, რომ ტრენინგ და საინფორმაციო პროგრამები ამ მიმართულებითაც არასაკმარისია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევის ავტორთა აზრით, ჯერ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადასადგმელი ფერმერთა გასათვითცნობიერებლად, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, სრულიად აუცილებელია ახალი, ევროკავშირის ბაზრის ათვისებისათვის.

ნინო ევგენიძე

საუკუნეთა საიდუმლოების ამოხსნის დასტურად

პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ოთხწიგნეულის მეორე ტომი

ქართველი მკითხველი განსაკუთრებული სიხარულით შეეგება **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა** და გამომცემლობა **„ჩვენი მწერლობის“** მიერ წამოწყებულ პროექტს, **შოთა რუსთველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილს: პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიურ თხზულებათა ოთხტომეულს** — მოხდენილი იერით აღბეჭდილსა და მართლაც ხელიხელსაგოგმანებელს.

ეს მეცნიერული ნაშრომები დიდი ხანია, აღარ გამოსულა. არადა, მათი გაცნობა და შესწავლა აუცილებელია ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი ჩამოყალიბებისთვის, მათი თვალსაწიერის გაფართოებისთვის, ქართული კულტურის სიმაღლისა და თავისებურებების, მისი შინაგანი სივრცისა და თვითმყოფადობის შესაცნობად, ეს თხზულებანი მთელი სისავსით რომ აირეკლავენ ამ ყოველივეს.

ამიტომაცაა, ასე თავგამოდებით რომ უდგანან სათავეში ამ სასიკეთო საქმესაც **დავით გალეგაშვილი** და **როსტომ ჩხეიძე**.

და აი, **„რუსთველიანას“** კვალდაკვალ გამოჩნდა **„რუსთველიანას ეპილოგიც“**, რომელსაც ქვესათაურად პავლე ინგოროყვამ ასე წააწერა: **„საუკუნეთა საიდუმლოების ამოხსნის ახალი დადასტურება“**, დასრულებით კი ამ აპოთეოზური სტრიქონებით დააგვირგვინა:

„ძვირფასო მკითხველო, თქვენ, და თქვენთან ერთად მეც, გვქონდა ბედნიერება, დაგვენახა ქართველი ერის დიდ მნათობთა შორის ნათელი სახე თვით შოთასი. ამიერიდან შოთა — თავისი ბიოგრაფიით, ისევე ნაცნობი ხდება ჩვენთვის, როგორც ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა.

შოთა უდიადესი პოეტია. ხოლო ამავე დროს, იგი იყო მამა ერისა, ქვეყნისათვის თავდადებული.

შოთას სახე ჩვენ გვინათებს სამშობლოსათვის შეფიცულთა — კოხტისთავის გმირთა — ნათელი ხომლიდან, შარავანდედით შემოსილი“.

განზრახულია, რომ თითოეულ ტომს წარემძღვაროს ესეი ან მეცნიერული ნარკვევი. მეორე წიგნისათვის ნარკვევი დაევალა **ელგუჯა თავბერიძეს**, რომელმაც თავისი ნაშრომი — **„ჩხრეკელობაი ფრიადი და სამარადჟამო („ვეფხისტყაოსნის“ დათეშიძისეული ხელნაწერის კვალდაკვალ)“** — მახვილგონივრულად ააგო იმ უცნობ დეტალებზე — პავლე ინგოროყვასა და ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ურთიერთობაზე — თავისებურ სხივად რომ გაიელვებს ამ დიდებული მეცნიერისა და მოღვაწის ბიოგრაფიაში. და არც დრამატიზმი აკლია.

ნარკვევი გვამცნობს **პეტრე ვაჭრიძის** ნაამბობს, თუ როგორ ამოშალეს 70-იან წლებში ექსკურსიამძღოლთათვის განკუთვნილი ტექსტიდან ეს სტრიქონები: **„ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა უძველესმა ვარიანტებმა ასახვა ჰპოვეს რუსთველოლოგ პავლე ინგოროყვას ნაშრომში „რუსთველიანა“.**

ამ ოთხტომეულის გამოცემა ხორციელდება ქუთაისის **„ხომლი ენ“**-ის სტამბაში, ელგუჯა თავბერიძის მეთვალყურეობით, და ნიშანდობლივია, რომ ეს ტომები პოლიგრაფიული დონით არაფრით ჩამოუვარდება არამცთუ თბილისში, არამედ ევროპაში გამოცემულ წიგნებსაც.



ჩვენი სააგენტოს ჟურნალისტთან საუბრისას **ელგუჯა თავბერიძემ** განაცხადა:

„პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიურ თხზულებათა ოთხწიგნეულის ქუთაისში დაბეჭდვა (იმედია, მესამე და მეოთხე წიგნებიც ჩვენთან დაისტამბება), სასიხარულოც იყო და საპასუხისმგებლოც. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პავლე ინგოროყვას ნებისმიერ თხზულებასთან შეხება სიხარულის მომგვრელიცაა, წუხილისაც. ამოდენა მეცნიერული დიაპაზონის მკვლევარს, ესოდენ ღრმა მცოდნეს ქართული და არა მარტო ქართული ისტორიისა, კულტურისა, ლიტერატურისა, გაშმაგებული ებრძოდნენ, ჩქმალავდნენ მის აღმოჩენებს. მეცნიერი, რომელმაც დედამიწელებს რუსთველის დაბადების თარიღი დაუდგინა, მისი ვინაობა ხელისგულზე დაუდო, იმ იუბილეს ჩამოაშორეს, რომელიც ვერ გაიმართებოდა (რუსთაველის საიუბილეო თარიღი არ გვეცოდინებოდა), პავლე ინგოროყვას საუკუნეებს გადევნებული მყარი ისტორიული ტრადიციის კვლევითა და ანალიზით რომ არ დაეზუსტებინა.

პავლეს შეჭიდებული კომუნისტი-მეცნიერების გვარ-სახელები ისტორიამ წარეცხა, აღარავის ახსოვს. პავლე ინგოროყვას სახელიც კაი ხანს იქნებოდა მივიწყებული, როსტომ ჩხეიძე რომ არ გამოჩენოდა პატრონად, ჯერ ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი“ ამოხსნა მეცნიერის მსოფლხედვა, დახატა, როგორც პიროვნების, ისე მკვლევარის მონუმენტური პორტრეტი, მერე პავლე ინგოროყვას თხზულებათა გამოცემას ჩაუდგა სათავეში.

რუსთველოლოგიური ოთხწიგნეული ბატონი როსტომისა და დავით გალეგაშვილის ძალისხმევით გამოიცემა.

რუსთველოლოგიური ოთხწიგნეულის მეორე წიგნი „რუსთველიანის ეპილოგი“ შედარებით ძნელი დასასტამბასაკინძი გახლდათ. ფერადი ჩასაკრავები შეიძლებოდა ტექსტში ჩართულიყო, ამით საქმე გაიოლდებოდა, მაგრამ დაიკარგებოდა პირვანდელი, პავლე ინგოროყვასეული ჩანაფიქრის სახე და ხასიათი.

ამიტომ, გამომცემელთა სურვილი მთლიანად გავითვალისწინეთ. სულაც არაა ადვილი, ექვს ადგილას წიგნში რაღაც ჩააკრა, თანაც ისე ფაქიზად, რომ წიგნის ორგანულ ნაწილად იქცეს. მგონი შევძელით კიდევ ერთი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე დაბეჭდილ-აკინძული წიგნი შეგვეთავაზებინა მკითხველისათვის“.

ფრიდონ ირემაძე,
„მედიანიუსი“

მცირე მოგონება

პოეტი მინდია

ამ ცხელ, სულის შემხუთავ ზაფხულს მეც გავექეცი, ბორჯომის ხეობაში აწ უკვე აგარაკად სახელდებულ, ორსართულიან სახლსა და ეზო-კარს შევაფარე თავი.

სოფელი მართლაც წალკოტია, მთის ფერდობს შეყუჟული, აღმოსავლეთით მთანი მაღალნი დამჩერებია, დასავლეთით მოდუდუნე მტკვარი მეხმიანება, ეზოს გვერდით ხეობას ჩამოურაკრაკებს ნაკადული. და კიდევ სოფლის ერთადერთი ღირსშესანიშნაობა: რკინიგზის თეთრი ხიდი... უფრო სწორად შორიდან თეთრად ჩანს, თორემ რკინას ჟანგი აქვს მოძალებული. თბილისი-ბორჯომის მატარებელი მარცხნიდან მარჯვნივ გადმოგრიალდება დღეში რამდენჯერმე.

ამ ხიდთან, ოდნავ მოშორებით, ერთი მშვენიერი ყვავილების ბუჩქნარია, ყვითელი ყვავილებით, მსმენია, ეს ბუჩქები და მისი მაცდურად ლამაზი ყვავილები ჯანმრთელობისთვის მავნეა, ალერგიას იწვევსო.

ამჯერად მისი სახელი ვერა და ვერ მოვიგონე. რას იზამ, ასაკმა იცის, არადა, ვიცოდი, როგორ არა. ჰოდა, პირველ შემხვედრ ადგილობრივ გლეხს ვთხოვე, შემახსენე-მეთქი.

— არ ვიცი, რა ქვიაო, — უხერხულად შეიშმუშნა. ამან დამაინტრიგა, ახლა ახალგაზრდა კაცს შევეხმიანე, იქვე ცხოვრობს ხიდის თავთან. გაგიგონია, ბაიბურში არ იყო. ხელი არ ჩავიქნიე, მივდექ-მოვდექი, ლამის საგანგებო გამოკითხვა ჩავატარე. ამაოდ.

და უცებ დავით მჭედლური, ჩემი მეგობარი, შესანიშნავი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სიცოცხლეს ნაადრევად დამშვიდობებული, კაცური კაცი და ბუნების დიდი მოყვარული გამახსენდა.

წლების განმავლობაში, ყოველ ზაფხულს, ჩავაკითხავდი ფშავში, ჩარგალთან ახლოს. არაგვის პირას, თავის მშობლიურ სოფელში. საკუთარი ხელით ნაგებ შესანიშნავ სააგარაკო სახლ-მამულში, მერე ავიკიდებდით ზურგჩანთებს, საძილე ტომრებს და შევუყვებოდით მთებს. ასე ფეხდაფეხ მოვიარეთ შატილი, მუცო, არხოტი, ერთი სიტყვით, ფშავ-ხევსურეთის მადლიანი მთები, ღირსშესანიშნაობები.

ერთხელაც მთა საორბეთის კინკრიხოზე რომელილაც უცნაური ყვავილი დავინახე. რა ქვია-მეთქი. არც დაფიქრებულა, ეგრევე დამისახელა, რატომღაც დავინტერესდი ბოტანიკაში მისი განსწავლულობით. ბოლოს და ბოლოს, აღმოვაჩინე — არც მთაში და არც ბარში არ მოიძეოდა მცენარე თუ ბალახეული, დავითს მისი სახელი არ სცოდნოდა — დაახლოებით ხუთასამდე მცენარეულის სახელი ახსოვდა, რაც მის პოეზიასა და პროზაშიც განიბნა და შემოგვინახა. ნამდვილი მინდია ხარ-ეთქი, შევეხუმრე კიდეც. რუსთავში ხომ ერთად ვმოღვაწეობდით, მისი შემოქმედებაც ჩემს თვალწინ იფურქჩნებოდა. „დავით მეფეს დიდგორს ვახლდი“, ჭეშმარიტი მამულიშვილის ღრმად პატრიოტული ლექსი, ახლაც ხშირადაც წამომცდება ზეპირად, ხოლო წიგნებს, მისსავე წარწერებით მოძღვნილ-ნაჩუქარს არცთუ იშვიათად გადავფურცლავ, დავაგემოვნებ. საოცრად პოეტური, ხილვებიანი ლექსები ადამიანისა და ბუნების მარადიული განუყრელობა, სამშობლოს წარსული და აწმყო, თანამედროვე ადამიანისა სულიერი ცხოვრება, მისი ფიქრი, ტკივილი და სიხარული, აი, რაზე ღაღადებდნენ და ღაღადებენ მისი პოეტური მადლით აღსავსე ლექსები, მოთხრობები, ფშავ-ხევსურეთის წარსულ-აწმყოსადმი მიძღვნილი სქელკანიანი წიგნი თუ პუბლიცისტური ნაწარმოებები.

რა თქმა უნდა, მე ამ მცირე მოგონებაში არ შევუდგები მისი შემოქმედების ანალიზს. თავის სიცოცხლეში დავით მჭედლურს არ დაკლებია მაღალი შეფასება. მისი მისამართით არაერთი საქებარი სიტყვა თქმულა, მრავალი კრიტიკული წერილი, ანალიტიკურად ფასეული სტატია და ნარკვევი დაწერილა პოეტზე, რომელმაც ჯერ კიდევ შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში დათმო საწუთრო, ოღონდ ეგ კია, როგორც არცთუ იშვიათად გვჩვევია, სიკვდილის შემდეგ ვივიწყებთ ხოლმე. თუმცა, მის შემოქმედებას მომგონებელ-შემფასებლების სიმცირეს მაინცდამაინც ვერ ვატყობ. და მაინც, ეს მუხასავით ტოტებგაშლილი შემოქმედი არა და არ უნდა მიეცეს დავიწყებას.

გივი ჯახუა,
დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი

P. S. დავით მჭედლურმა ჩემს ერთ-ერთ წიგნს „ჟამი მსხვრევისას“ ურედაქტორა და თბილი წინასიტყვაობითაც დამასაჩუქრა, რითაც ვამაყობ. ჩემს მიერ შარშან გამოცემულ წიგნ-მატიანეში „ვარ რუსთაველი“ მის ლექსებს, ღირსეული ადგილი მივუჩინე, მომავალშიც, როგორც კი ამის შესაძლებლობა მექნება, დავითს ასევე დავაფასებ. მწამს და მჯერა — დღევანდელი და მომავალი თაობები დავით მჭედლურის ფრიად ორიგინალურ, გამორჩეულ პოეზიას, მის პროზას და პუბლიცისტიკას, რომლებსაც განსაკუთრებული პრობლემურობის გამო დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა, ჯეროვან ადგილს მიუჩენენ.

გ. ჯ.

უცნობი გენერალისიმუსი...

დაბადების დღეები სტალინის ოჯახში

ლ. ფოიხტვანგერი სტალინთან

— სტალინის დროს მიდიოდა უძლიერესი მოძრაობა წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრისთვის, იხსნებოდა ბიბლიოთეკები, იქმნებოდა წრეები, თეატრები. ჩანს, მიაჩნდა, რომ ხელოვნების საშუალებით შეიძლებოდა ადამიანის გარდაქმნა, ახალი ადამიანის შექმნა?

— ის, რომ ადამიანი შეიძლება თავიდან გამოკვერო, ამგვარი საუბარი სადმე რომ ყოფილიყო, მე არ გამიგია. მისი აზრით, ადამიანს რაღაც უნდა სჯეროდეს, რაღაც უნდა სწამდეს და ადამიანს აქვს ეს რწმენა. ვიღაც შეიძლება გადაარწმუნო, ვიღაც არა და ეს უნდა გაითვალისწინო, უნდა მიიღო მხედველობაში.

— ხელოვნების დარგში სტალინური პრემიები, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, პრესტიჟული და ავტორიტეტული იყო. ამა თუ იმ პიროვნებისთვის პრემიის მინიჭება სტალინის თაოსნობით ხდებოდა თუ ვინმეს აზრს იზიარებდა?

— დეტალები არ ვიცი, არ ვიცი, როგორ ხდებოდა ეს, თუმცა, ცნობილია, რომ ფულიც მისი იყო და ინიციატივაც. ჩვეულებრივ, ის განსაზღვრავდა, პრემია ვისთვის მიენიჭებინათ, ფული კი მილიონობით გამოცემული მისი შრომების ჰონორარიდან გაიცემოდა.

წიგნებში აღებულ ჰონორარს იმის მიხედვით ანაწილებდა, სადაც უფრო მეტად იყო საჭირო. სხვათა შორის, ყველა თავის შრომას თვითონ წერდა, წერდა ხელით, არა რვეულებში, არამედ ფურცლებზე... წიგნებად, გაზეთებად და ბროშურებად შეკრული დოკუმენტები და მასალა მასთან მოთხოვნის მიხედვით შემოჰქონდათ. გადახედავდა მასალას და დაიწყებდა წერას, რაც მერე იმის მიხედვით ნაწილდებოდა, სად რა მასალა უნდა წასულიყო — რაღაც პრესას უნდა გადასცემოდა, რაღაც არქივს, რაღაცას რეკომენდაციის სახე უნდა მისცემოდა, რაღაც ხანგრძლივი დროით საიდუმლოდ შენახულიყო... რაღაც ნაწილი თითო ცალი იყო, რაღაც რამდენიმე ეგზემპლარი, მერე კი ერთის გარდა დანარჩენი ეგზემპლარები მთლიანად უნდა განადგურებულიყო... ადგილებზე მასალის გაგზავნისთვის საჭირო ანგარიშებს სტალინი თვითონ აწარმოებდა... უზღვავი საქმიანი ქაღალდების, უამრავი მასალის მიუხედავად, მისი მაგიდა ყოველთვის იდეალურ წესრიგში იყო.

— ხელოვნების რომელი დარგი უყვარდა ყველაზე მეტად და რაში გამოიხატებოდა ეს? ჰყავდა თუ არა საყვარელი აქტიორები, მომღერლები, მწერლები?

— დიახ, ჰყავდა. განსაკუთრებით კინო უყვარდა. მოსწონდა ეიზენშტეინის და ალექსანდროვის ფილმები. მოსწონდა და აფასებდა ორლოვას, მის თამაშს... ხშირად დადიოდა დიდ თეატრში. დადგმებიდან განსაკუთრებით მოსწონდა „მეფის საცოლე“ და „ქალი ფსკოვიდან“... ძალიან მოეწონა ოპერა „ხოვანშჩინა“, როგორც დადგმა, ისე მუსიკა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ლოჟის უკანა დასასვენებელ ოთახში რომ შევიდნენ, შეაქო დადგმა, შეაფასა ოპერა ისტორიული თვალსაზრისით — რა მოტივი გასდევდა ტექსტს, რა გახდა მისი დაწერის მიზეზი. მოსწონდა ბალერინა მარინა სემიონოვა. 1936 წლის ნოემბერში საბჭოთა ხელისუფლების წლისთავზე გამართულ საზეიმო სხდომასა და კონცერტზე, სხვა ბევრ ნომერს შორის იყო „კავკასიური ცეკვა“, რომელიც სემიონოვამ ბრინწყინვალედ შეასრულა. ეცვა ღია ნაცრისფერი ახალუხი, ეხურა კრაველის ღია ნაცრისფერი ქუდი. ცეკვის დროს ქუდი თავიდან რომ გადაიგდო და ქერა თმა მხრებზე ჩამოეფინა, მაყურებელზე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მთელი დარბაზი „ბის“! „ბრავოო!“ — ყვიროდა. სემიონოვას ცეკვა არ გაუმეორებია, მივიდა მარცხენა ლოჟასთან, სადაც სტალინი იჯდა (პირდაპირ ორკესტრის ორმოს თავზე, თითქმის ზედ სცენასთან). ხალხი ისევ ყვიროდა, ისევ ცეკვის გამეორებას ითხოვდა. სტალინმა თავი დააქნია, მგონი, რაღაც გამამხნევებელი სიტყვა უთხრა, სემიონოვამ ორკესტრს რაღაც ანიშნა და ცეკვა დაიწყო... კონცერტის დამთავრების შემდეგ ყველანი ისევ ლოჟის უკანა ოთახში შევიდნენ და ერთმანეთს შთაბეჭდილებებს რომ უზიარებდნენ, გავიგე სტალინმა როგორ თქვა, სემიონოვა ყველაზე უკეთესი იყოო.

მგონი, სტალინს ყველაზე უფრო ის მოსწონდა და უყვარდა, რაც მის საყვარელ საქმეს წაადგებოდა, რაც ქვეყანას, მის მიერ გატარებულ პოლიტიკას მეტ სარგებელს მოუტანდა და უფრო ეფექტურს გახდიდა... უყვარდა კინო, უყვარდა არტისტები. მაგალითად, იყო ერთი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ალექსეი დიკი. მე ბევრი ვესაუბრე მის ვაჟიშვილს, ვინც ასევე მსახიობია და ვინც ასეთი რამ მომიყვა: მას შემდეგ, რაც მამამ ფილმში სტალინის როლი ითამაშა, სტალინმა თავისთან დაპატიჟა და რომ ისაუბრეს, ბოლოს ჰკითხა, როგორი სტალინი ითამაშა? „ამხანაგი სტალინი ისეთი ვითამაშე, როგორსაც ხალხი ხედავს“, — უპასუხია მამას... მისი ამ პასუხის შემდეგ სტალინმა თურმე კონიაკის ბოთლი აიღო, მსახიობს გაუწოდა და უთხრა: „აი, ეს თქვენ ამ სწორი პასუხისათვის“... დიახ, სტალინმა კარგად იცოდა, ღმერთი კი არა, ადამიანი რომ იყო...

— ვფიქრობ, ისიც იცოდა, რომ ხალხი მასში იდეალს ხედავდა, თქვენ როგორ ფიქრობთ, ხომ არ იყო მისთვის ძნელი, ისეთი ყოფილიყო, როგორიც ხალხს წარმოედგინა?

— ყოფილიყო იმ იდეალის შესატყვისი, როცა ჯერ ისევ ხალხში ტრიალებდა, ეს სულ სხვაა. იყო უამრავი მწერალი, ჟურნალისტი, პასუხისმგებელი მუშაკი, რომლებსაც მისი სახის ფორმირება შეეძლოთ. ეს მას კარგად ესმოდა. გავიხსენოთ მისი საუბარი ფოიხტვანგერთან, რომელიც ამბობდა, იქმნება კულტი, საითაც არ გაიხედავ ყველგან სტალინიაო. რაზეც სტალინმა დაახლოებით ასე უპასუხა: „ხალხს რაღაცას უნდა სჯეროდეს, რაღაც სწამდეს. მეფე აღარ არის, ღმერთი წაართვეს, რწმენით კი რაღაც უნდა სწამდეს, რაღაცის უნდა სჯეროდეს...“

* * *

„ზავტრა“: — იმ დროს სპორტი ყვაოდა. თვითონ სტალინი სპორტის რომელიმე სახეობას თუ მისდევდა? იქნებ დილის ვარჯიშებს აკეთებდა? ამბობენ, მარჯვენა ხელი „გამხმარი“ ჰქონდაო. რამდენად შესამჩნევი იყო ეს ან იყო კი ასე?

— ა.ს: — დიახ, მკვლავს ბოლომდე ვერ ხრიდა, თუმცა, ვინც არ იცოდა, შეიძლება ვერც კი შეემჩნია. ერთი ხელი მეორეზე მოკლე იყოო, არ არის მართალი. მე მასთან ძალიან ახლოს ვიყავი, მაგრამ არასოდეს შემიმჩნევია, მის მკლავებს შორის რაიმე განსხვავება ყოფილიყო. სტალინი პისტოლეტიდანაც, ვინტოვკიდანაც და სანადირო თოფიდანაც შესანიშნავად ისროდა. მართალია, ხშირად არა, მაგრამ ვარჯიშობდა სროლაში. დადებდა მასრას მოაჯირზე და პისტოლეტიდან ესროდა. მერე აიღებდა ნაგანის ჰილზას და ახლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან ისროდა, თან ძალიან ზუსტად. მე და ვასილის ხშირად გვეტყოდა, სროლა უნდა შეგეძლოთო. აგარაკ „ზატიშიეში“, რომელიც ნალჩიკთან ახლოს იყო, ხშირად დავდიოდი, ვინაიდან დედა მაშინ იმ სანატორიუმის დირექტორად მუშაობდა, რომელიც ასევე ნალჩიკთან ახლოს ხუტორ დოლინსკში მდებარეობდა. 1929 წლის ზაფხულში იმ აგარაკზე ვასილი და სვეტლანაც ჩამოვიდნენ. ერთხელ სტალინმა მკითხა, სროლა თუ ვიცოდი. ვუთხარი, ცოტა ვიცი-მეთქი. გერმანული ფირმა „დიანას“ პნევმატური შაშხანა „დიანა“ აიღო, მომცა, პაპიროსის კოლოფი დადო და, ესროლეო, — მითხრა. ვესროლე და მოვახვედრე. აბა, კიდევ მოახვედრეო. მოვახვედრე. კიდევო, კიდევ მოვახვედრე.

ახლა ასანთის კოლოფი დადო — მოახვედრეო... მოვახვედრე... „სროლა იცი, უფრო კარგად რომ ისროლო, სულ უნდა ივარჯიშო. ამიტომაც წაიღე ეს პნევმატური შაშხანა და გაიწაფე“, — მითხრა და ტყვიებიც მაჩუქა. მაშინ რვა წლისა ვიყავი.

— თქვენ და ვასილი საცხენოსნო სექციაში იყავით, თხილამურებით სრიალებდით. ამაში მშობლები გიწყობდნენ ხელს?

— დიახ. თხილამურებით სრიალი ძალიან გვიყვარდა, განსაკუთრებით მთიდან. მაშინ არ იყო ამისთვის სპეციალური მოწყობილობა. ამოვიკრავდით თხილამურებს თექის ჩექმებზე რეზინით და თავ-პირსაც გვარიანად ვიმტვრევდით. მაგრამ მაგრად თუ დავეცემოდით და დავიმტვრეოდით, ხმა არ უნდა ამოგვღო, არ უნდა გვეწუწუნა. სტალინი სხვებივით არასოდეს გვეტყოდა — ფრთხილად, გაჩერდით, თავ-პირს ნუ იმტვრევთო! მას არ სჩვეოდა ასეთი ლაპარაკი, ბავშვების მიმართ გადამეტებული მეურვეობა არ უყვარდა. დამტვრეულ-დაჟეჟილებიც ვიყავით, ვკოჭლობდით კიდეც, დალურჯებულებიც დავდიოდით, კოპებიც ბლომად გვასხდა, მაგრამ, ვიცოდით ისეთი არაფერი დაგვემართებოდა, მთავარი ის იყო, სტალინს ჩვენი წუწუნი და ვაი-ვაში არ ენახა— აი, რას ვუფრთხოდით ყველაზე მეტად!... მომთმენები უნდა ვყოფილიყავით, რისკიანები, ძლიერები, არ უნდა გვეწუწუნა, საფრთხის არ უნდა გვშინებოდა. სტალინი ზოგჯერ დაგვცინოდა, დამტვრეულ-დაჟეჟილებს რომ დაგვინახავდა — წესიერად არ იქცევით, არ ფრთხილობთო, — შენიშვნას არასოდეს გვაძლევდა, დაუცემლად ეს საქმე არ გამოდის, წარმატებული ვერ იქნებით, ცხენით ჭენება თუ გინდა, ასეა ცხენზე ჯდომისასაც... ბავშვობაში მეც ვაჭენებდი ცხენს და მეც ვვარდებოდი... ერთადერთი, წუწუნი და ვაი-ვაშის ძახილია ცუდი და სამარცხვინო... ყველაფერი კარგად უნდა გააკეთო, მოითმინო, ცრემლები არ გადმოყარო და არ ივიშვიშო...

— თქვენ ამბობთ, რომ სტალინმა ცხენზე ჯდომა იცოდა, თუმცა, ამბობენ, ცხენების ეშინოდა, ამიტომაც, მართალია, თვითონ უნდოდა პარადი ცხენზე ამხედრებულს მიეღო, მაგრამ ვერ გაბედა და ეს საქმე ჟუკოვს გადააბარაო.

— სისულელეა! ის ძალიან გაბედული ადამიანი იყო, ეშინოდაო, ამის მთქმელი სულელი და უჭკუოა. იოსებ ბესარიონის ძე, უბრალოდ, რეალისტი ადამიანი იყო, ყველაფერს ფხიზელი თვალით უყურებდა და აფასებდა, მათ შორის თავის თავს და თავის შესაძლებლობებს... ცხენზე ჯდომა რომ იცოდე, ბევრი უნდა ივარჯიშო, ამას ძალიან ბევრი დრო სჭირდება... მას კი ამისთვის დრო არ ჰქონდა, მით უმეტეს, ცხენზე თუ დაჯდებოდა, კლასი უნდა ეჩვენებინა... საერთოდ, ცხენოსნობა ადვილი არ არის, ის კი არა, ცხენზე დაჯდომაც არ არის ადვილი. აბა, სცადეთ, ახტეთ მიწიდან და უნაგირს გადააჯდეთ! გამოცდილი ცხენოსნები ჟუკოვზე ამბობდნენ, კლასიკაა! მისი ცხენზე ჯდომა, მართლაც, სასწაული იყო. რასაც ბულგანინზე ვერ იტყოდი. ამისთვის მას მხოლოდ თვითმავალი ხბო თუ გამოადგებოდა. ცხენზე ერთხელ დაჯდა და, მაშინაც უნაგირიდან უცებ ცხენის კისერზე აღმოჩნდა, რის შემდეგ ცხენს ის ახლოსაც აღარ გაჰკარებია. სტალინიც უკვე იმ ასაკში აღარ იყო, მას ეს კარგად ესმოდა და თავის თავს ანგარიშს უწევდა. მაგალითად, ლევ ნიკოლაევიჩ ტოლსტოი უკვე მოხუცი იყო, ცხენს რომ დააჯირითებდა, მაგრამ მისი ცხოვრების ქრონიკაში შეგიძლიათ ნახოთ, როგორი ნავარჯიშები ბრძანდებოდა. სტალინს კი ამის დრო არასოდეს ჰქონია. პარადის მიღება ცხენზე ამხედრებულს უნდოდაო, — ამაზე საუბარი არც ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო...

(გაგრძელება იქნება)

სტალინი. პირადი ცხოვრება

ერთერთ სერგეევის მოგონებები

ე. გლუშიკისა და ო. სტრელცოვას მასალების მიხედვით. გაზეთი „ზავტრა“

ბალერინა მარინა სემიონოვა

დასაწყისი იხ. № 65-140, 142

◎ ოლიმპიური ჩემპიონი

სიტყვის კაცი



დარბაზში საქართველოს ეროვნული ჰიმნი აჟღერდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგარი ფალავანი სახეგაბადრული მისჩერებოდა ხუთჯვრიან დროშას, რომელიც ნელ-ნელა მაღლა მიცურავდა...

— გავაკეთე ის, რაც შემეძლო — სამშობლოს ოლიმპიური ოქროს მედალი მოვუტანე, — ეს სიტყვები კოლაგელმა რევაზ მინდორაშვილმა 2008 წელს მას შემდეგ მითხრა, რაც პეკინის თამაშების ჩემპიონობა მივულოცე.

სათქმელად იოლია, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ამ ერთი უბრალო წინადადების მიღმა რამდენი შრომა და საჭიდაო ხალიჩაზე დაღვრილი ოფლია.

წლების განმავლობაში დასახული მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა. გზახერგილიც ბევრჯერ შეხვედრია, ისეთი მომენტებიც ჰქონია, სპორტიდან წასვლას რომ აპირებდა.

დაბრუნება პირველი

ჭიდაობა გვიან — 14 წლისამ დაიწყო დავით გონაშვილის ხელმძღვანელობით, თუმცა, სკოლის დამთავრებამდე მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონობა მოასწრო. თბილისში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ჩამოსულმა ფალავანთა კლუბს მიაშურა. მარლენ ოსიყმაშვილის ჯგუფში ჩაეწერა. ნახა, მისი თანატოლები როგორ ჭიდაობდნენ, საკუთარ ძალებში დაეჭვდა — ჩემგან ფალავანი ვერ დადგებაო. ვარჯიშს უკლო. ზედიზედ რამდენიმე მეცადინეობა გააცდინა. ერთ საღამოს ბიჭებმა შინ მიაკითხეს — დარბაზში გიბარებენო. 1996 წელს საქართველოს ნაკრების წევრები ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდნენ. რევაზ მინდორაშვილი შეკრებაზე წაიყვანეს — ჯანიანი ბიჭია, სპარინგ-პარტნიორად გამოგვადგებაო. სტიმული მიეცა. იმ შეკრების შემდეგ სერიოზული ვარჯიში დაიწყო.

2002 წელს ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ამგვარ წარმატებას 2003 წელს მიაღწია. სამაგიეროდ, იმავე წელს კონტინენტის პირველობაზე ყველა მეტოქე დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. 2004 წლის გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონატის ვერცხლით დაიმშვენა მკერდი. ფინალში გაქონილი თურქი მეტოქე რომ არა, ალბათ, ოლიმპზე ასვლასაც შეძლებდა. მერე იყო ათენის თამაშები. თავად ვიხილე მისი ორთაბრძოლები ოლიმპიურ ხალიჩაზე. ასე დათრგუნული რეზო მინდორაშვილი არასდროს მინახავს.



— ოლიმპიადაზე განცდილი მარცხის შემდეგ ჭიდაობისთვის თავის დანებება მინდოდა, — მითხრა რეზომ. — ადგილს ვერ ვპოულობდი, გულს ვერაფერს ვუდებდი, თუმცა შინაგანი ძალა ისევ დარბაზისკენ მექაჩებოდა. 2004 წლის შემოდგომაზე ირანის გუნდურ ჩემპიონატში ჭიდაობა გადავწყვიტე - გულს გადავაყოლებ-მეთქი... თეირანისკენ მიმავალს ფიქრები მომეძალა — რა უცნაურია ცხოვრება, შაჰები ჩემს წინაპრებს ძალით მიერეკებოდნენ სპარსეთისკენ, მე კი ჩემი ნებით მივდივარ, თან სევდის გასაქარვებლად-მეთქი. ჯავრიც ვიყარე იქაურებზე — ზედიზედ რვა შეხვედრა მოვიგე. გულიც მომეცა - თურმე, ჯერ ჩამოსაწერი არ ვყოფილვარ...

ისევ დაუბრუნდა ხალიჩას, მაგრამ 2005 წლის გაზაფხულზეც ხელი მოეცარა — ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში უკრაინელ ტარას დანკოსთან დამარცხდა და უმედლოდ დარჩა. მერე დაღესტნის საერთაშორისო ტურნირზე კუბელ რომეროსთან დაპირისპირებისას წარბი გაიხეთქა და ოთხი ნაკერი დაადეს. ტრავმამოუშუშებელი შეკრებებზე ვერ წაყვა ნაკრებს. 29 წლის ფალავანმა მომავლის იმედი დაკარგა და ისევ წასვლა გადაწყვიტა.

დაბრუნება მეორე

— ვიჯექი ჩემთვის და ვფიქრობდი: ჭიდაობა დავამთავრე. ასე უსაქმოდ ხომ ვერ ვიქნები, ცოლს მაინც მოვიყვან და ახლობლებს გავახარებ-მეთქი. ჰოდა, ავდექი და მეც შევირთე ერთი კარგი გოგო — თამილა ბარაბაძე. თორმეტი წელიწადი ვიცნობდი. თავს არ ვუტყდებოდი, თორემ ვგრძნობდი, რომ მიყვარდა. როცა ცუდ ხასიათზე ვიყავი, დავურეკავდი. იგი ლექსებს მიკითხავდა და მამხნევებდა. ერთ საღამოსაც დავურეკე და პირდაპირ კახურად ვუთხარი — ცოლად გამომყევი-მეთქი. ისიც არ დაფიქრებულა და იმ დღიდან ერთად ვართ. რომ გაიგო, ჭიდაობას თავს ვანებებდი, კინაღამ გაგიჟდა — მედლები აწი ჩემს სახელზე უნდა მოიპოვოო, მითხრა.

მეუღლესაც ხათრი ვერ გაუტეხა და დარბაზს დაუბრუნდა. ივარჯიშა და 2005 წელსვე უნგრეთის დედაქალაქში მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. 2006 წელს ჩინურ გუანჩჟოუში მსგავს შეჯიბრებაზე „ვერცხლს“ დასჯერდა, თუმცა, ეს ჯილდო სულაც არ იყო ურიგო, თუნდაც იმიტომ, რომ რეზოს კოლექციაში კიდევ ერთი თავისუფალი ადგილი შეივსო — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების სამივე სინჯის მედლის კავალერი გახდა.

ოცნება, რომელიც რეალობად იქცა

— 2008 წელს ტამპერეს ევროპის ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის თითო საგზური თამაშდებოდა, — იგონებს რევაზ მინდორაშვილი. — ყველაფერი ვიღონე, ამ შეჯიბრებაზე მომეგვარებინა ლიცენზიის პრობლემა და შემდეგ მშვიდად განმეგრძო ზაფხულის თამაშებისთვის მზადება. პირველ წრეში დავით ბიჩინაშვილს ვძლიე, შემდეგ — ესპანელ ხავიერ რამოსს, ბელარუს ივან იანკოვსკის, ებრაელ სერგეი კოლესნიკოვს და გადამწყვეტ პაექრობაში გიორგი კეტოევს (იგივე ქეთოშვილს), დავუპირისპირდი. გიორგიმ 2007 წელს მსოფლიოს ჩემპიონობასთან ერთად პეკინის ლიცენზიაც დაიმსახურა, ამიტომ ფინალში გასვლით ოლიმპიადის საგზური დავიბევე. თავის მართლებად ნუ ჩამითვლით, მაგრამ გადავწყვიტე, ფინურ ხალიჩაზე ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე არ გამომემჟღავნებინა. ვიფიქრე, გიორგი დარჩეს წონის ფავორიტად, რათა მთელი ყურადღება მისკენ იყოს მიმართული, მე კი საჩემო საქმეს ისედაც გავაკეთებ-მეთქი.

თამაშებისთვის მზადება სპეციალური პროგრამით განვაგრძე. ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრებები გავიარეთ თბილისში, წახკაძორში, ბორჯომში. ვიჭიდავე რუმინეთში იონ კორნეანუს მემორიალში, სადაც პირველი ადგილი დავიკავე. ეს გამარჯვება ჩემთვის აუცილებელი იყო, რათა საკუთარი ძალების რწმენა განმემტკიცებინა.

— კინაღამ ყველაფერი წყალში ჩაგეყარა...

— ბოლო შეკრებას ბორჯომში გავდიოდით, რუსეთმა საქართველოს კუთხეების დაბომბვა რომ დაიწყო. ნაადრევად შევწყვიტეთ წვრთნა. რადგანაც გორზე გამოვლა შეუძლებელი იყო, თბილისში შემოვლითი გზით 12-საათიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ძლივს ჩამოვაღწიეთ, მეორე დილით კი კიევის გავლით პეკინში გავფრინდით.

— აკლიმატიზაციის გავლა გაგიჭირდა?

— ოლიმპიადის დღეებში იქაურ პირობებთან შეგუება არ გამჭირვებია. მონდომებით ვვარჯიშობდი. თავისუფალი სტილით მოჭიდავეები პეკინში რომ ჩავედით, საქართველოს დელეგაციას მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი ჰქონდა, ნინო სალუქვაძის მოპოვებული. 13 აგვისტოს კი ერთბაშად ორი ფალავანი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე — მანუჩარ კვირკველია და ირაკლი ცირეკიძე. ამ გამარჯვებებით ისე ვიყავი აღფრთოვანებული, ერთი სული მქონდა, თავად როდის გავიდოდი ხალიჩაზე საჭიდაოდ. საკუთარი ძალების მჯეროდა და დარწმუნებული ვიყავი, პეკინში ოლიმპიურ ჩემპიონობას მოვიპოვებდი. სწორედ ასპარეზობის წინა დღეს ჩვენი გუნდის მთავარ ექიმ ზურაბ კახაბრიშვილს ვუთხარი — ხვალ ჩემპიონი გავხდები და შენ იქნები მეორე, ვისაც ეს წინასწარ ეცოდინება-მეთქი...

— ყველაზე რთული ორთაბრძოლა ვისთან გქონდა?

— ვფიქრობ, არავისთან გამჭირვებია. დავით ბიჩინაშვილთან, რომელმაც გერმანიის სახელით იასპარეზა, პირველი პერიოდი 1:4 წავაგე, მაგრამ დანაკარგი მომდევნო ორ რაუნდში ავინაზღაურე. იოლად ვძლიე სომეხ არუთინ ენოქიანს. მთავარი მეტოქე ნახევარფინალში მყავდა — გიორგი კეტოევი. ორივე პერიოდში სამი სამქულიანი გდება შევძელი, ხოლო გონგამდე 20 წამით ადრე წმინდა გამარჯვება მოვიპოვე.

— რადგანაც მედალი განაღდებული გქონდა, ფინალში ყურადღება ხომ არ მოადუნე?

— უბრალოდ, მედალზე რომ მეფიქრა, ჩემპიონი ვერ გავხდებოდი. მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებდა — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა. ამგვარი შემართებით გავედი ხალიჩაზე ფინალში საჭიდაოდ.

— მაგრამ გვარიანად გვანერვიულე...

— აბდუსალიმოვი ძლიერი მოჭიდავეა. 2007 წელს ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. შუააზიელმა პირველსავე წუთზე ჰაერში კი ამიტაცა, მაგრამ დავუძვერი და ქულაც დავიმსახურე. მერე ჩოქბჯენში გამოვიჭირე ტაჯიკი მოჭიდავე და დატრიალება ვცადე, მაგრამ ფანდი ბოლომდე ვერ მივიყვანე, რადგან დილით მოთელვისას ნეკნი დავიზიანე. ილეთის ჩატარებისას საშინელი ტკივილი ვიგრძენი. მეტოქემ ამით ისარგებლა და პირველი რაუნდი მომიგო. მეორე-მესამე პერიოდებში მისთვის წარმატების იოტისოდენი შანსიც არ მიმიცია — 3:0 და 4:0 ვაჯობე, ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი და რუსეთისგან დაბომბილ ჩემს სამშობლოს სიხარული მოვუტანე...

მას შემდეგ ორი ოლიმპიური ციკლი მიილია, მაგრამ ხალიჩას ვერ უგანა — რამდენიმე წელიწადია, ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს უდგას სათავეში და ახალგაზრდა ფალავნებს უზიარებს მდიდარ გამოცდილებას, კვარცხლბეკისაკენ გზის გაკაფვაში ეხმარება მათ. ახლაც მისი ხელმძღვანელობით ექვსი კუნთმაგარი ჭაბუკი გაემგზავრება რიოს ოლიმპიური მედლების მოსახვეჭად. ოსტატი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მისი შეგირდები სამშობლოს ასახელებენ.

ვაჟა დანელია

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი:+3

საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი პროფესიონალთა ასოციაციის (ATP) რეიტინგში 3 პოზიციით დაწინაურდა და 558 ქულით 109-ე ადგილზე დამკვიდრდა.

შეგახსენებთ, რომ ბასილაშვილს კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი გასული წლის ოქტომბერში ჰქონდა, როდესაც მსოფლიოს 86-ე ჩოგანი გახდა. ამჟამად ნიკოლოზი 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება, რომლის საჩოგბურთო ტურნირის წილისყრაც ხვალ მოეწყობა.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

მეხუთეც - იოლად

აშშ-ს საკალათბურთო ნაკრებმა 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების წინ დასკვნითი, მე-5 საკონტროლო მატჩი ჩაატარა და, რა გასაკვირია, რომ ამჯერადაც იოლად იმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელებმა მანამდე არგენტინა, ჩინეთი (ორჯერ) და ვენესუელა გაანადგურეს, გუშინ დილით კი ჰიუსტონში ნიგერიაც დაჯაბნეს — 110:66. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე კარმელო ენტონი გახდა, რომელმაც 19 ქულა დააგროვა, 10-ქულიან ზღვარს კი კლეი ტომპსონმა (17), კევინ დიურანტმა (14), დემარ დეროზანმა (13), დეანდრე ჯორდანმა (10) და დემარკუს კაზინსმაც (10) უწიეს.

ისიც ვთქვათ, რომ რიოს ოლიმპიადის ჯგუფურ ეტაპზე აშშ-ს საკალათბურთო ნაკრების მეტოქეები ავსტრალია, ვენესუელა, ჩინეთი, საფრანგეთი და სერბეთი იქნებიან. ამერიკელები პირველ მატჩს ჩინეთთან 6 აგვისტოს ჩაატარებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

საქმე №1/51-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 28 ივლისი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ზურაბ გელიაშვილი, ნინო გუგუციძე, სოლომონ სანიკიძე**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 21 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ზურაბ გელიაშვილის, ნინო გუგუციძისა და სოლომონ სანიკიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 11 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა” და ზურაბ გელიაშვილს შორის დაიდო №061514719 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 3200 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 60 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 11.11.2015წელი.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის ნინო გუგუციძის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით.

2015 წლის 11 ივნისს ერთის მხრივ შპს „ნოვა კრედიტსა” და მეორეს მხრივ სოლომონ სანიკიძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ზურაბ გელიაშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს ვერ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ნინო გუგუციძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს ვერ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე სოლომონ სანიკიძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს ვერ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ზურაბ გელიაშვილს, ნინო გუგუციძესა და სოლომონ სანიკიძეს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ზურაბ გელიაშვილი, ნინო გუგუციძე და სოლომონ სანიკიძე რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მისამართზე არ იმყოფებიან, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ზურაბ გელიაშვილს (პირადი №01013022450), ნინო გუგუციძეს (პირადი №01009015995) და სოლომონ სანიკიძეს (პირადი №01036001984) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ზურაბ გელიაშვილს, ნინო გუგუციძესა და სოლომონ სანიკიძეს განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოთ მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ზურაბ გელიაშვილს, ნინო გუგუციძესა და სოლომონ სანიკიძეს ეცნობოთ, რომ 2016 წლის 6 სექტემბერს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ზურაბ გელიაშვილის, ნინო გუგუციძისა და სოლომონ სანიკიძის მიმართ.

5. ზურაბ გელიაშვილს, ნინო გუგუციძესა და სოლომონ სანიკიძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/61-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 29 ივლისი 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **დავით მჭედლიშვილი**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 18 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე დავით მჭედლიშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 12 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა” და დავით მჭედლიშვილს შორის დაიდო №061391975 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 930 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 3 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დავით მჭედლიშვილს ორჯერ გაეგზავნა მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა აღრესატი საქმის მასალებით წარმოდგენილ მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე დავით მჭედლიშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე დავით მჭედლიშვილი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებით.

